



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №079/14

ადვოკატი ზ.ბ. იცავდა კ.უ.ს ყოფილი მეუღლის, ე. კ.-ს ინტერესებს მეუღლეებს შორის არსებულ ქონებრივ დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009 წლიდან 2015 წლამდე. ადვოკატმა ზ.ბ.მ ე.კ.ის დეიდაშვილს ქ.ხ.ს 2010 წლის 10 აგვისტოს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება, მაშინ, როცა ამავე საქმეზე მოგვიანებით წარმოადგენდა ე.კ.ის ინტერესებსაც. ქ.ხ.ს განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხე ე.კ.ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ოზურგეთის რაიონში, დაბა ურეკი. 2013 წლის 07 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თ.ჩ.ს გაჩინებით ადვოკატ ზ.ბ.ს, როგორც ე.კ.ს წარმომადგენელს ჩამოერთვა საქმის N----- (მოსარჩელე - ქ. ხ., მოპასუხე - ე.კ., კ.უ., დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება) განხილვაში მონაწილეობის უფლება.

2014 წლის 22 ოქტომბერს კ.უ.-მ საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ზ.ბ.-სთვის, რომელიც იყო მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი.

განხილვის კოლეგიამ ზ.ბ.ს მიერ შესაძლო დარღვევად ჩათვალა კეთილსინდისიერების ვალდებულება, კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპები.

დააზარალა თუ არა ზ.ბ.მ თავისი ქმედებებით კლიენტის ინტერესები?

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატის ქმედებები კლიენტისთვის ზიანის მომტანი იყო, რადგან მას შექმნა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფრთხე.

დაარღვია თუ არა ადვოკატ ზ.ბ.მ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი?

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად თუ სხვა ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“(ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი)

„ადვოკატს უფლება არ აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“(ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი)

ადვოკატმა ზ.ბ.მ ქ. ხ.ს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია; დაეხმარა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შედგენაში და სასამართლოში შეტანაში. კოლეგიას მიაჩნია, რომ ეს ქმედებები მიმართული იყო მისი მარწმუნებლის ე.კ.ის ინტერესების დასაცავად. თუმცა, კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მან ე.კ.ის თანხმობით გაუწია კონსულტაცია ქ.ხ.ს, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და ეთიკის კოდექსი არ იცნობს ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას წარმომადგენლობის განხორციელების გაგრძელების შესაძლებლობას.

ადვოკატ ზ.ბ.ს მიერ დარღვეულ იქნა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, რადგან მან ქ.ხ.ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ, განახორციელა ე.კ.ის წარმომადგენლობა, როდესაც ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენდნენ.

დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელი ფორმის ან ზომის გამოყენებაა მიზანშეწონილი მოცემულ შემთხვევაში?

კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ არ ყოფილა გაცხადებული არანაირი გარემოება, რომელიც კოლეგიას მისცემდა საშუალებას, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები არ ჩათვალა პრეუდიციული ძალის მქონედ. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება ინტერესთა კონფლიქტის არსებობასთან დაკავშირებით და ამ მოტივით ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება კოლეგიამ პრეუდიციული ძალის მქონე გარემოებად მიიჩნია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ზ.ბ.ისთვის შეირჩა გაფრთხილება.